ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №221/01-01 10.12. 2015წ.

დანართი №1

2015/2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სალერნოს უნივერსიტეტის (იტალია) მიერ ორმხრივი პარტნიორობის ფარგლებში თსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი)შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და სტიპენდიატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს შორის სალერნოს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. სტიპენდიატების შერჩევა

სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1) მოტივაციის წერილი
2) ზეპირი პრეზენტაცია (იტალიურ ენაზე)
3) აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.